

უქრონიული სინამდვილის მოდელები თანამედროვე

ქართულსა და იტალიურ რომანში

ნანა ზარდიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ზარდიაშვილი,

26/06/22

აბსტრაქტი¹

უქრონიული, კონტრაფაქტორული, ალოსტორიული რომანები ეპოქალური მოვლენების, გარდატეხის პერიოდში იქმნება. შესაბამისი დროის, სივრცისა და გამოწვევის არსებობისას ხდება მისი როგორც ჟანრის გააქტიურება, ამ კონკრეტული გამოწვევის ამოწურვისა და დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ კი ეს ჟანრი კვლავ უბრუნდება „არააქტიურ“ ფაზას. წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია უქრონიის როგორც ჟანრობრივი კატეგორიის ანალიზი, ინტერკულტურულ რაკურსში. უქრონიის თეორიულ მოდელებზე დაყრდნობით გამოიყოფა აკა მორჩილადისა და გუიდო მორსელის რომანების - *სანტა ესპერანსა* და *რომი პაპის გარეშე* ტიპოლოგიური მსგავსებები და განსხვავებები. კვლევით დასტურდება, რომ განხილულ რომანებს *სანტა ესპერანსა* და *რომი პაპის გარეშე* უქრონიული მოდელის ყველა მახასიათებელი აქვთ: სტილისტური და ენობრივი ირონიულობა; დროსა და სივრცეში გადანაცვლება დროის მანქანის არსებობის გარეშე; კონკრეტული დროითი და სივრცითი კოორდინატები; ისტორიის კონტრაფაქტურის შექმნა; წარსულში მომხდარი მოვლენების სხვაგვარი განვითარების დაშვება რეალური დროისგან მოწყვეტის გარეშე.

განხილული რომანების უქრონიულ მოდელებს შორის არსებულ მთავარ განსხვავებას დროითი კატეგორია წარმოადგენს: აკა მორჩილადის უქრონიული სამყარო რეტროსპექციულია და წარსულში დაბრუნებასა და იქ მოვლენების სხვაგვარი განვითარების დაშვებას ეფუძნება. გუიდო მორსელის მიერ შერჩეული უქრონიული მოდელი კი ეყრდნობა აწმყოს პროექციას მომავალში და მოვლენების იმგვარი განვითარების შედეგების ერთგვარ წინასწარმეტყველებას გულისხმობს, რაც აწმყოში არსებული ავტოხატის გამოკვეთის შესაძლებლობას იძლევა.

¹ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [MG-21-236]

ძირითადი საძიებო სიტყვები: უქრონია, ისტორიის კონტრაფაქტურა, აკა მორჩილაძე, გუილო მორსელი, სანტა ესპერანსა, რომი პაპის გარეშე.

Abstract²

The main purpose of the present study was to define and categorize Alternate History as a term, to classify it genre-wise and to observe Alternative worlds and alternate story models in intercultural perspectives. After defining alternate story models, the topological differences and similarities between them was carried out with the examples of the novels by Aka Morchiladze and Guido Morselli - *Santa Esperanza* and *Rome without the Pope*. I assumed that by discussing these particular novels I would be able to create and present a comparative panorama that would be important for understanding and comprehending alternate story as a genre and meta-genre. Alternate story, counterfeit and allostorial novels are mainly created during epochal events, historical crises and significant upheavals such as civil or world wars, pandemics etc. After the particular challenge or times, they return to the "inactive" phase. In the Alternative Story genre, the story often starts with the assumption "what if..." This assumption is mostly ironic, since by changing the events on the paper, real and actual history does not change and therefore, main features of alternate story literature are stylistic and linguistic irony. Research has shown that the reviewed novels: *Santa Esperanza* and *Rome without the Pope* have all the characteristics of the alternate story model: stylistic and linguistic irony; Movement in time and space without the presence of a time machine; Specific temporal and spatial coordinates; The creation of the countercurrent of history; Allowing different developments in the past without being disconnected from real time.

The main difference between the timeless models of the novels is the time category. Aka Morchiladze's timeless world is retrospective and is based on going back to the past and allowing a different development of events there. The timeless model chosen

² This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [MG-21-236]

by Guido Morselli is based on the projection of the present into the future and a kind of prediction of the results and thus serves to highlight the existing autochthon.

Key words: Alternate story, History Counterfeit, Aka Morchiladze, Guido Morselli, Santa Esperanza, Rome without a Pope.